განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
„აგრარული ტექნოლოგიები“, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის **დასკვნის** წარდგენის თარიღი 1.06.2020

თბილისი
2020

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **211349192** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | აგრარული ტექნოლოგიები |
| განათლებისსაფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | აგრონომიის ბაკალავრი 0101 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტებისრაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტირებული, პროგრამა აკრედიტებულია 15/09/2017, 66 გადაწყვეტილებით |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ქეთევან კინწურაშვილი**–პროფესორი, აგრარული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **გიორგი ჯაფოშვილი**–პროფესორი, ენტომოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ა(აიპ) - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას „აგრარული ტექნოლოგიები" აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის N66 გადაწყვეტილებით მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, მაგრამ აკრედიტაციის საბჭომ 2017 წ–ის 15 სექტემბრის N15 სხდომის გადაწყვეტილებით.გადაწყვეტილების მომენტში, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო მასზე მონიტორინგი და გადამოწმებულიყო აკრედიატციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.
სსიპ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 26 თებერვალს მონიტორინგისთვის წარმოადგინა სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის N01–05–04/95 დადგენილებით მოდიფიცირებული საბაკალავრო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები" თანდართული დოკუმენტაციით.

საბაკალავრო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები" შემუშავებულია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე. პროგრამის მიზანია მოამზადოს აგრონომიის ბაკალავრი, რომელსაც ექნება დარგის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. შეეძლება სოფლის მეურნეობაში მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და სოფლად სიღარიბის დაძლევას, რაც ქვეყნის სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. 240 კრედიტი მოიცავს ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 210 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 30 კრედიტის) კომბინაციას. პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება აგრონომიის ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საბაკალავრო პროგრამის „აგრარული ტექნოლოგიები" მონიტორინგი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 24/03/2020 MES 7 20 00316132 ბრძანებით შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტის გარეშე, სსიპ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით .

ექსპერტთა ჯგუფმა, პროგრამის მონიტორინგის მიზნით, შეისწავლა სპპს–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან "აგრარული ტექნოლოგიები" დაკავშირებული დოკუმენტაცია და პროგრამის შესაბამისობის საკითხი იმ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრა აკრედიტაციის საბჭომ. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა კომისიამ დამატებით გამოითხოვა მასალა უნივერსიტეტიდან,რომელიც ეხებოდა მონიტორინგის ობიექტ რამდენიმე სასწავლო კურსს და აკადემიური პერსონალის CV–ებს.

ამრიგად, მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ ძირითადად განხორციელდა პირველი და მეორე სტანდარტის შეფასება,მაგრამ წარმოდგენილ მასალებზე

დაყრდნობით,ასევე შემოწმებული იქნა პროგრამის შესაბამისობა მეოთხე სტანდარტის 4.1 კომპონენტთან და მეხუთე სტანდარტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „აგრარული ტექნოლოგიები“ შეფასებისას დადგინდა, რომ პროგრამა **პირველი და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია** აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან,ხოლო **მეორე სტანდარტის მიხედვით–მეტწილად შესაბამისობაშია** მოთხოვნებთან. შევაფასეთ **4.1 ქვესტანდარტიც, რომელიც მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

**მონიტორინგის შედეგები:**

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის N66 ოქმში მითითებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია მონიტორინგის ობიექტ მოდიფიცირებულ საბაკალავრო პროგრამაში „აგრარული ტექნოლოგიები“.

ქვემოთ, აკრედიტაციის საბჭოს ოქმში მითითებული რეკომენდაციების რიგითობის გათვალისწინებით, ჩამოთვლილია აკრედიტაციის ექსპერტთა მონიტორინგის შედეგად შეფასებული,ორგანიზაციის მიერ შესაბამის რეკომენდაციაზე რეაგირების შედეგი:

1. ცვლილება შევიდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში და ის ორიენტირებული გახდა სწავლის შედეგსა და უნივერსიტეტის მისიაზე;

2. პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი: **„სურსათის უვნებლობა და ხარისხი“;**

3. პროგრამის სპეციალობის სავალდებულო კურსებს დაემატათ დარგობრივი საგნები . ამასთან გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რეკომენდაციები რიგი სასწავლო კურსების დასახელებისა და შინაარსობრივი მხარის ცვლილებასთან დაკავშირებით.კერძოდ:

3.1. პროგრამას დაემატა **„ზოგადი მეცხოველეობა“;**

3.2. სასწავლო კურსი **„სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა“**დაემატა ძირითადი დისციპლინების ნუსხას,ოღონდ,როგორც არჩევითი.ამასთან,დაკორექტირდა სალექციო მასალის შინაარსი (მეორე,მესამე,მეხუთე,მეექვსე,მერვე და მეცხრე კვირა),დაემატა საკითხი სათბურის ინტეგრირებულ მართვაზე,მაგრამ არა მავნებლების ინტეგრირებული მართვაზე;

3.3.სასწავლო კურსს „ხილ–ბოსტნეულის შენახვა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია“ შეეცვალა დასახელება და გახდა **„ხილ–ბოსტნეულის პირველადი დამუშავება და შენახვა“**. დაკორექტირდა: პირველი, მეათე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე კვირის სალექციო მასალების და სასემინარო მეცადინეობის შინაარსი;

3.4. სასწავლო კურსს „მეხილეობა და სუბტროპიკული კულტურები“ შეეცვალა სახელწოდება და გახდა **„მეხილეობა“**,ასევე დაკორექტირდა კურსის პირველი,მეშვიდე და მეათე კვირის ლექციების და მეშვიდე კვირის პრაქტიკული მეცადინეობის შინაარსობრივი მხარე;

3.5.სასწავლო კურსის **„სასოფლო–სამეურნეო მანქანები“** პირველი კვირის სალექციო მასალა დაკორექტირდა და საგანს დაშვების წინაპირობად დაემატა „მებოსტნეობა“ და „მემცენარეობა“, თუმცა არა „მეხილეობა“ და შინაარსს კვლავ აკლია საკითხი მრავალფუნქციურ მანქანებთან დაკავშირებით;

3.6 სასწავლო კურსს **„აგროქიმია“** დაშვების წინაპირობად დაემატა „ნიადაგმცოდნეობა“ და ცვლილება შევიდა სალექციო მასალის მეცამეტე და მეთოთხმეტე კვირის შინაარსში;

3.7.სასწავლო კურსს **„მებოსტენეობა“** დაშვების წინაპირობად დაემატა საგანი “აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია“ და ცვლილება შევიდა მესამე კვირის სალექციო მასალის შინაარსში;
3.8.ცვლილება შევიდა სასწავლო კურსის**“ სასოფლო–სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა“** მესამე და მეცხრე კვირის სალექციო მასალის და პირველი კვირის პრაქტიკული მეცადინეობის შინაარსში. ასევე, დაშვების წინაპირობაში დაემატა „მებოსტნეობა“ და „მეხილეობა“;
3.9.კორექტირება განიცადა სასწავლო კურის **„ენტომოლოგია“**–მიზანმა და უფრო დაკონკრეტდა;
3.10.ქარსაფარ ზოლებზე,მათ მნიშვნელობაზე და ექსპლუატაციაზე საკითები ჩამატებულია ძირითად სასწავლო კურსში **“აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია“** და სპეციალობის სავალდებულო არჩევით კურსებში : **„აგრომეტყევეობა“** (რომელმაც შეცვალა სასწავლო კურსი „მეტყევეობა“) და **„აგროსატყეო მელიორაცია“;**
3.11.სასწავლო კურსს **„აგრობიოტექნოლოგია“** დაშვების წინაპირობად დაემატა „მიკრობიოლოგია“;

4. უცხოურ ენასთან დაკავშირებით, რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის პროგრამით შესწავლილი ყოფილიყო დაგობრივი ტერმინოლოგიის შემცველი ტექსტები.ექსპერტების მიერ დამაკმაყოფილებელ პასუხად იქნა მიღებული უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტება,რომ უცხო ენა ისწავლება სამ სემესტრად,როგორც საუნივერსიტეტო საგანი ყველა სპეციალობაზე და მისი შინაარსი აგებულია ენის შესწავლის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ამდენად ბაკალავრიატის დონეზე არ არის სავალდებულო დარგობრივი ტექსტების განხილვა.

**5**.რეკომენდირებული იყო არჩევითი საგანი „აკადემიური წერა“ გადატანილიყო ძირითად საგანთა ნუსხაში. აკრედიტაციის საჭოს სხდომაზევე,დაწესებულების მხრიდან, გაკეთდა განმარტება,რომ საგანი „აკადემიური წერა“ არის საუნივერსიტეტო არჩევითი საგანი და მისი გადატანა ძირითად საგანთა ნუსხაში არ მოხერხდება. სხდომაზევე, ექსპერტების მიერ დამაკმაყოფილებელ პასუხად იქნა მიღებული უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტება,რომლსაც ვიზიარებთ მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებიც.

6. გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და სასწავლო პროგრამაში შემცირდა არჩევით ჰუმანიტარულ სასწავლო კურსთა რაოდენობა და გადიდდა– დარგობრივი საგნებით.კერძოდ:

6.1. პროგრამაში გაუქმდა შემდეგი თავისუფალი არჩევითი კურსები (5 კრედიტი):

- სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)–კრეატიული აზროვნება;
- სასწვლო კურსი– ოპერატორული ხელოვნება (საჯარო კამათის ტექნოლოგიები);
- სასწვლო კურსი–პროექტის მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- სასწვლო კურსი–შესავალი ხელოვნურ ინტელექტში;
- სასწვლო კურსი– მონაცემთა ბაზის აგების საფუძვლები;
- სასწვლო კურსი–ოპერაციული სისტემები;

6.2. პროგრამაში ჩაემატა შემდეგი თავისუფალი არჩევითი კურსები (5 კრედიტი):

- სასწავლო კურსი–მეფუტკრეობა;
- სასწვლო კურსი–ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები;
- სასწვლო კურსი–საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა;

- სასწვლო კურსი–რელიგიების ისტორია;
- სასწვლო კურსი– კრიტიკული აზროვნების ელემენტები;
- სასწვლო კურსი– დემოკრატია და მოქალაქეობა;
- სასწვლო კურსი– საჯარო გამოსვლის ტექნიკა;
-

**7.** შეიცვალა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და ის აისახა სტუ–ს აკადემიური საბჭოს N2691 დადგენილებაში, ხოლო აღნიშნული დადგენილების შესაბამისი ცვლილებები აისახა პროგრამაში „აგრარული ტექნოლოგიები“ და თანდართულ სილაბუსებში. კერძოდ,დასაშვები გახდა სტუდენტთა სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. სტუ-ში ერთი კრედიტი (ECTS) გაუტოლდა სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. შეფასების საერთო ქულიდან 100 შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა გახდა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა- 40. შეფასების თითოეულ ფორმაში განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.( 7,5 ან 10) დასკვნითი შეფასების მინიმალური ჯამური დადებითი ქულაა –15.

**მიუხედავად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა,ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, მონიტორინგისთვის წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამისთვის რეკომენდირებულია:**

1. საგანი „ენტომოლოგია“ და მისი სილაბუსის შინაარსობრივი მხარე არაა შესაბამისობაში. წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი უფრო „სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგია“და შესაბამისად სასწავლო კურსს უნდა შეეცვალოს დასახელება. გარდა ამისა ამ კურსის შინაარსში არ შეიძლება ყურადღება გამახვილებული იყოს მხოლოდ მავნებლებზე და არ იყოს ნახსენები სხვა მწერები, მითუმეტეს სასარგებლო მწერები; ამ კურსს წინაპირობად უნდა ჰქონდეს „ზოგადი ბიოლოგია“:
2. სასწავლო კურსს „ეკონომიკის პრინციპები“, წინაპირობად უნდა ქონდეს „მათემატიკის საფუძვლები“.
3. პროგრამის სილაბუსები სწავლის შედეგების ფორმულირებით შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სწავლის შედეგების ფორმირების ახალ მიდგომებთან; შემცირდეს კომპეტენციების რაოდენობა და გამსხვილდეს მისაღწევი შედეგები,რომ შესაძლებელი გახდეს სწავლის შედეგების უკეთ შეფასება;
4. გაახლდეს აკადემიური პერსონალის CV–ები
5. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დიდ ნაწილს (ზაზაშვილი შოთა, ზაქარიაძე ნინო, უგრეხელიძე ვახტანგ, თედორაძე ომარი, შენგელია რევაზ, როჭიკაშვილი ეკატერინე, რობაქიძე ქეთევანი, რაზმაძე ნანა, ღლიღვაშვილი ვასილ, ბადრიშვილი გიორგი, ლაოშვილი ზურაბ, დოლიძე ვლადიმერ,დანელია ირინე) უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არა აქვთ გამოქვეყნებული სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში–გაახლონ პუბლიკაციები.
6. პროგრამის კურუკულუმში სასწავლო გეგმა გაწერილია 3 კურსზე (6 სემესტრზე), ცალკეა გამოყოფილი ცხრილი სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსებისთვის და თავისუფალი კომპონენტისთვის.სტუდენტის მიერ პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმისთვის მიზანშეწონილია ცალკე აღებულ ცხრილებში მოცემული აღწერილობის გათვალისწინებით,დაიხვეწოს (შეივსოს)სასწავლო გეგმის სტრუქტურა და მასში 180

კრედიტის განაწილებასთან ერთად გამოჩდეს მეოთხე კურსისთვის (მეშვიდე და მერვე სემესტრი)მორჩენილი 60 კრედიტის განაწილებაც.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - რადგან პროგრამაში ისწავლება „ენტომოლოგია", კარგი იქნებოდა სასწავლო კურსი „მცენარეთა დაცვის საფუძვლები" (შინაარსის გათვალისწინებით) შეიცვალოს დღეისათვის მეტად აქტუალური კურსით „მავნებელთა ინტეგრირებული მართვა" ანუ IPM.
  - სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა ითვალისწინებს დარგის აქტუალურ მიღწევებს, თუმცა სასურველია კიდევ უფრო გაახლდეს სასწავლო კურსები თანამედროვე ლიტერატურით.
  - პერსონალს უნდა განემარტოს/ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგი ინფაქტფაქტორის მნიშვნელობაზე, გამოქვეყნების წესებზე და მიეწოდოთ მტაცებლური ჟურნალების შესახებ ინფორმაცია.
  - უნდა გააქტიურდეს დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პროფესურის საერთაშორისო კავშირები და საერთო პრობლემატიკაზე თანამშრომლობა.
  - პროგრამაში წარმოდგენილი თითქმის ყველა დარგობრივი სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკულ დატვირთვას, რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს/განივითაროს პრაქტიკული უნარები,თუმცა სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ საველე პრაქტიკაც.
  - სასწავლო კურსები სწავლა–სწავლების მეთოდებით უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას,მაგრამ სასურველია სწავლა–სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება ცალკეული სილაბუსების დონეზე.
  - ლექტორის თანხმობის შემთხვევაში, სასურველია სტუდენტთა შეფასება ხორციელდებოდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. მათ შორის შესაძლებელია გარეშე ექსპერტის ჩართულობაც;
  - სასურველია პერსონალთა CV–ებისთვის გამოყენებული იქნას წინასწარ შეთანხმებული ისეთი ერთნაირი ფორმა ,რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას აკადემიურ პერსონალზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კრედიტის გარეშე პროგრამას დაემატა B2 დონის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი (11.10.2019 ფაკულტეტის საბჭოს ოქმი N63 )

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას „აგრარული ტექნოლოგიები" აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის N66 გადაწყვეტილებით მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებაზე კონტროლის მიზნით,საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამაზე „აგრარული ტექნოლოგიები" განხორციელებულიყო მონიტორინგი.

მონიტორინგის პროცესის განხორციელების შემდეგ გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაციის შემდეგ განიცადა მოდიფიცირება და ეს გამოიხატა არა მარტო ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებაში,არამედ პროგრამა განვითარდა:შეიცვალა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა (შუალედური შეფასება–60ქულა, დასკვნითი შეფასება–40 ქულა, დაწესდა საგნის ათვისების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეფასების ფორმების მიხედვით) და საათების განაწილება შესწორდა სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად. გახდა 25 სთ,ნაცვლად 27 სთ–ისა.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარულ მეცნიერებათა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის,ისევე როგორც მთლიანად უნივერსიტეტის მისიაა თავის სტუდენტებს მისცეს ღირებული ცოდნა, შეუქმნას აღიარებულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო, ხელი შეუწყოს კრიტიკული, ანალიტიკური, ეთიკური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას სტუდენტებში და შექმნას ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც მზად იქნება, ღირსეულად უპასუხოს სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებს.საბაკალავრო პროგრამის „აგრარული ტექნოლოგიები“ მიზანია მოამზადოს აგრარული ტექნოლოგიის დარგის ბაკალავრი, რომელსაც ექნება აღნიშნული დარგის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. შეეძლება სოფლის მეურნეობაში მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და სოფლად სიღარიბის დაძლევას, რაც ქვეყნის სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს.<br>პროგრამის ფარგლებში მომზადებული სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და შეიტანენ ღირსეულ წვლილს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. |

| |
|---|
| პროგრამა ორინეტირებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მისიაზე, სწავლის შედეგზე და დასაქმების ბაზარზე, პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიღწევადია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბაკალავრო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები"<br>○ სტუ და აგრარულ მეცნიერებათა ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მისია<br>○ სტუ ვებგვერდი<br>○ ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები<br>○ დამსაქმებელთა გამოხმაურებები<br>○ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფისა და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2.პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისი კომპონენტების ერთობლიობა, მათი ქრონოლოგიური წყობა, შინაარსი და ლოგიკური თანმიმდევრობა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. და სწავლის შედეგი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის |

მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ განხორციელებული აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები მოთხოვნადი იქნებიან დასაქმების ბაზარზე და მათ ექნებათ სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობაც. პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს დამსაქმებლებთა მოთხოვნებს და სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლების სურვილები. პროგრამის „აგრარული ტექნოლოგიები“ შედეგები გაზომვადია და მიღწევადი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სილაბუსების სწავლის შედეგები ფორმულირებულია 120/–ნ ბრძანების შესაბამისად,(ექვსი კომპეტენცია), რაც ართულებს დღევანდელი მიდგომით სწავლის შედეგების პროგრამის შედეგებთან შესაბამისობის დადგენას,ამიტომ საჭიროა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სწავლის შედეგების ფორმირების ახალ მიდგომებთან ანუ დაკორექტირდეს რაოდენობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით,უფრო გამსხვილდეს ისინი,რომ უკეთ გახდეს შესაძლებელი სწავლის შედეგების შეფასება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში მითითებული სწავლის შედეგის მიღწევის ყველა მეთოდი არ არის გამოყენებული სილაბუსებში.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე.
მონიტორინგისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება დამსაქმებელის მხარდაჭერაც წარმოდგენილი პროგრამისადმი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუქა;
- სტუ-საკადემიურისაბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.
- დამსაქმებელთა მხარდაჭერის წერილი

**რეკომენდაციები:**

1. პროგრამის სილაბუსები სწავლის შედეგების ფორმულირებით შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სწავლის შედეგების ფორმირების ახალ მიდგომებთან;შემცირდეს კომპეტენციების რაოდენობა და გამსხვილდეს მისაღწევი შედეგები,რომ შესაძლებელი გახდეს სწავლის შედეგების უკეთ შეფასება.
2. დახვეწილი იქნას სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| შეფასება |
|---|
| ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო პროგრამაზე „აგრარული ტექნოლოგიები“ სწავლის უფლება აქვს, მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანია, საჯარო და ხელმისაწვდომი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| • საბაკალავრო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები;<br>• სტუ–ს ვებგვერდი |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საბაკალავრო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. იგი გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). კურსდამთავრებულს აგრონომიის ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 210 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 30 კრედიტის) კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში. **ანუ პროგრამის სტრუქტურა შედგება:**<br><br>**1.საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობა (210 კრედიტი) მოიცავს:**<br>**ა) უცხოური ენის კომპონენტს - 15 კრედიტი.** სწავლის დასაწყისში სტუდენტს აქვს უფლება ოთხი უცხოური ენიდან (ინგლისური, რუსული, გერმანიული, ფრანგული) აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი და პირველი სამი სემესტრის განმავლობაში გაიაროს 5-5-5 კრედიტის მოცულობით;<br>**ბ) არჩევით ჰუმანიტარულ სასწავლო კურსს - 5 კრედიტი.** (ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორია და კულტურა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია, აკადემიური წერა, კულტურა და თანამედროვეობა);<br>**გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლოკურსებს - 160 კრედიტი;**<br>**დ) სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი;** სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 20 კურსით, რომელთაგან სტუდენტი ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას ისე, რომ სასწავლო |

კურსების საერთო მოცულობა შეადგენდეს არანაკლებ 30 კრედიტს;

**2. თავისუფალი კომპონენტები– 30 კრედიტი.** ძირითადი სპეციალობის ათვისების შემდეგ, სტუდენტი თავისუფალი კომპონენტებიდან (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან) ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს არანაკლებ 30 კრედიტს.

პირველ სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი დაუცხოური ენა - 5 კრედიტი. ჯამში 28 კრედიტი.

მეორე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი, უცხოური ენა - 5 კრედიტი და არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი - 5 კრედიტი, ჯამში 32 კრედიტი.

მესამე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი და უცხოური ენა - 5 კრედიტი. ჯამში 30 კრედიტი;

მეოთხე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 30 კრედიტი;

მეხუთე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 32 კრედიტი;

მეექვსე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი - ჯამში 28 კრედიტი;

მეშვიდე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები. რომელიც ჯამში მოიცავს 20 საგანს. სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა საჭირო რაოდენობას, ისერომ შედგეს 30 კრედიტი;

მერვე სემესტრში - გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტები (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები.) სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა საჭირო რაოდენობას,ისე რომ შედგეს 30 კრედიტი.

ამრიგად, პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს;პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან,ხოლო მასში შემავალი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; პროგრამა უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას; მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსობრივი მხარეც და ეს შინაარსი ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც არის ადექვატური, თუმცა, **სასწავლო კურსს „ეკონომიკის პრინციპები“**, წინაპირობად უნდა ჰქონდეს „მათემატიკის საფუძვლები“, **ხოლო სასწავლო კურსს „ენტომოლოგია“** –„ზოგადი ბიოლოგია“

**მიუხედავად სტრუქტურის გამართულობისა უნდა ავღნიშნოთ, რომ** პროგრამის კურუკულუმში სასწავლო გეგმა გაწერილია 3 სასწავლო წელზე (6 სემესტრი) და ცხრილებით ცალკეა გამოყოფილი: სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსები და თავისუფალი კომპონენტის საგნები.

**სტუდენტის მიერ პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმისთვის მიზანშეწონილია** ცალკე აღებულ ცხრილებში მოცემული აღწერილობის გათვალისწინებით, შეივსოს სასწავლო გეგმის სტრუქტურა და მასში 180 კრედიტის განაწილებასთან ერთად ჩანდეს მეოთხე

კურსისთვის (მეშვიდე და მერვე სემესტრი) „მორჩენილი“ 60 კრედიტის განაწილებაც. მითუმეტეს, როცა უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.მონიტორინგისთვის წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით იკვეტება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. საბაკალავრო პროგრამა „აგრარული ტექნოლოგიები“;
2. კურიკულუმის რუქა;
3. სტუსასწავლოპროცესისმართვისინსტრუქცია:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/dadg_2691_18_SD.PDF

4. პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებთან შეხვედრის ოქმები
5. სტუ–ს ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

საგანი „ენტომოლოგია“ სილაბუსის შინაარსი უფრო „სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგია“-ა და შესაბამისად სასწავლო კურსს უნდა შეეცვალოს დასახელება. გარდა ამისა ამ კურსის შინაარსში არ შეიძლება ყურადღება გამახვილებული იყოს მხოლოდ მავნებლებზე და არ იყოს ნახსენები მწერები, მითუმეტეს სასარგებლო მწერები; ამ კურსს წინაპირობად უნდა ჰქონდეს „ზოგადი ბიოლოგია“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

რადგან პროგრამაში ისწავლება „ენტომოლოგია“,უპრიანი იქნებოდა სასწავლო კურსი „მცენარეთა დაცვის საფუძვლები“ (შინაარსის გათვალისწინებით) შეიცვალოს დღეისათვის მეტად აქტუალური კურსით „მავნებელთა ინტეგრირებული მართვა“ ანუ IPM.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ✓ სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მათემატიკა1.2“ (5 კრედიტი) შეიცვალა - სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მატემატიკის საფუძვლები" (5 კრედიტი). სილაბუსის ავტორი არ შეცვლილა;

- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ზოგადი მათემატიკა“ (4 კრედიტი) საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 1/15. შუალდური შეფასება/დასკვნითი 2/1 დამოუკიდებელი მუშაობა -/75, გახდა ლექცია 15. პრაქტიკული 15., შუასემესტრული/დასკვნითი გამოცდა 1/1 დამოუკიდებელი მუშაობა 68. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი,

- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (4 კრედიტი). ახალი სასწავლო კურსის ავტორი ეკატერინე როჭიკაშვილი;

- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ზოგადი ბიოლოგია“ საათების განაწილება იყო ლექცია 2/30, სემინარი 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1 დამოუკიდებელი მიშაობა -/99, გახდა ლექცია 30, სემინარი 30,

შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1 დამოუკიდებელი მიშაობა 88. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;

- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ზოოლოგია“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 1/15, შუალედური შეფასება/დასკვნითი გამოცდა 2/1 დამოუკიდებელი მიშაობა 68, შიცვალა სასწავლო კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „უცხოური ენა (ინგლისური) B1“ , „უცხოური ენა (ინგლისური) B2.1, „უცხოური ენა (ინგლისური) B2.2, “ საათების განაწილება იყო პრაქტიკული 3/45, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1 დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა პრაქტიკული 45, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1 დამოუკიდებელი მიშაობა78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „უცხოური ენა (ფრანგული) 1T“ , „უცხოური ენა (ფრანგული) 2T“ ,, „უცხოური ენა (ფრანგული) 3T“ ,, “ საათების განაწილება იყო პრაქტიკული 3/45, ,. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1 დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა პრაქტიკული 45, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1 დამოუკიდებელი მიშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „უცხოური ენა (გერმნული) 1T“ , „უცხოური ენა (გერმნული) 2T“ ,, „უცხოური ენა (გერმნული) 3T“ . შეიცვალა სასწავლო კურსის კოდისასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „უცხოური ენა (რუსული) 1T“ , „უცხოური ენა (რუსული) 2T“ ,, „უცხოური ენა (რუსული) 3T“ ,, “ საათების განაწილება იყო პრაქტიკული 3/45, ,. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1 დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა პრაქტიკული 45, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1 დამოუკიდებელი მიშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ფილოდსოფიის შესავალი“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 2/2, დამოუკიდებელი მიშაობა 76. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „საქართველოს ისტორია და კულტურა“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 2/2, დამოუკიდებელი მიშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „პოლიტოლოგია“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 2/2, დამოუკიდებელი მიშაობა 76. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;

- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „გამოყენებითი ფსიქოლოგია“ შეიცვალა ავტორი ახალი სასწავლო კურსის ავტორია შიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „აკადემიური წერა“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, სემინარი 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 2/2, დამოუკიდებელი მიშაობა 76. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „კულტურა და თანამედროვეობა“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, სემინარი 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 2/2, დამოუკიდებელი მიშაობა 76. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ეკოლოგიის საფუძვლები“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, სემინარი 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მიშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ორგანული ქიმია“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, სემინარი 1/15. ლაბორატორიული 1/15, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 15, ლაბორატორიული 1/15, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მიშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ენტომოლოგია“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, პრაქტიკული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მიშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ფიტოპათოლოგია“ საათების განაწილება იყო ლექცია 2/30, ლაბორატორიული 1/15, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 30, ლაბორატორიული 15, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მიშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მიკრობიოლოგია“ საათების განაწილება იყო ლექცია 2/30, ლაბორატორიული 2/30, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, ლაბორატორიული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ზოგადი მიწათმოქმედება“ საათების

განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, პრაქტიკული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;

- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია" საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, პრაქტიკული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მცენარეთა ფიზიოლოგია" საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, სემინარი 2/30, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 15, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „აგროქიმია" (5 კრედიტი), ახალი სასწავლო კურსი „აგროქიმია" (5 კრედიტი), ავტორი ვლადიმერ დოლიძე, შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მცენარეთა დაცვის საფუძვლები" საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, პრაქტიკული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მცენარეთა ბიოქიმია" საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 1/15. ლაბორატორიული 1/15, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, პრაქტიკული 15, ლაბორატორიული 15. შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მცენარეთა გენეტიკა და სელექცია" საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, სემინარი 2/30, შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მემცენარეობა" საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, პრაქტიკული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;

- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მებოსტნეობა“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, სემინარი 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მინდვრის საკვებწარმოება“ საათების განაწილება იყო ლექცია 1/15, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/87, გახდა ლექცია 15, პრაქტიკული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 78. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „აგროდაზღვევის საფუძვლებია“ საათების განაწილება იყო ლექცია 0/30, სემინარი 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/99, გახდა ლექცია 30, სემინარი 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 88. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „აგრარული წარმოების ეკონომიკა, მენეჯმენტი და მარკეტინგი“ (5 კრედიტი), დაემატა ახალი სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ეკონომიკის პრინციპები“ (5 კრედიტი), ახალი სასწავლო კურსის რევაზ შენგელია,
- ✓ სასწვლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მევენახეობა“ საათების განაწილება იყო ლექცია 2/30, პრაქტიკული 2/30. შუალედური შეფასება/ დასკვნითი გამოცდა2/1, დამოუკიდებელი მუშაობა -/99, გახდა ლექცია 30, პრაქტიკული 30, შუასემესტრილი შეფასება/დასკვნითი გამოცდა 1/1, დამოუკიდებელი მუშაობა 88. შეიცვალა სასწავლო კურსის კოდი;
